Start-up-ის განვითარების ეტაპები და სახელმწიფოს ჩართულობა

თამარ გელაშვილი
მარიამ ჯიბლაძე
ოთარ ვარდიაშვილი

ჯგუფი #50

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

პროექტის ხელმძღვანელი: ლარისა პატარაია, ბიზნეს-ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017 წელი

აბსტრაქტი

სტარტაპების ჩამოყალიბება და განვითარება უფრო და უფრო მზარდი ტენდენციაა მსოფლიო ბაზარზე. თანამედროვე სამყარო, არაერთ სტარტაპს იცნობს, რომელიც მსოფლიო მასშტაბზე გავიდა და დიდი ფინანსური მოგება მოიტანა. თუმცა, სტარტაპი სანამ წარმატებას მიაღწევს და „სქეილაფის“ ეტაპზე გადავა, ხვდება უამრავ დაბრკოლებას, სტარტაპის განვითარების სხვადასხვა ფაზაზე. კარგი იდეის გარდა, აუცილებელია მისი მუშაობის პროცესში განვითარება, რისთვისაც სტარტაპერს ხელშეწყობა სჭირდება.

არაერთი სახელმწიფო აცნობიერებს სტარტაპ-ეკოსისტემის განვითარების სტრატეგიულ მნიშვნელობას, ეკონომიკის განვითარებაში. მათ შორის საქართველოს მთავრობაც ცდილობს შექმნას სტარტაპის ხელშემწყობი პროგრამები, რომელებიც არამარტო დაეხმარება მათ განვითარებაში, არამედ, ხელს შეუწყობს ცნობადობის ამაღლებას, წაახალისებს სტარტაპერებს, შექმნან ახალი პროდუქტი, ხოლო ინვესტორებს დაანახებს დაფინანსების სარგებელს.

კვლევა მიზნად ისახავს, დავადგინოთ, რა გამოწვევების წინაშე დგანან სტარტაპერები საქართველოში და რამდენად ეფექტურად მუშაობს სახელმწიფოს ხელშეწყობის პროგრამები, ამ მიმართულებით. კვლევის შედეგები დაგვანახებს იმ პრობლემებს, რასაც აწყდებიან სტარტაპერები, სტარტაპის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და მოგვცემს საშუალებას გავზომოთ სახელმწიფო პროგრამების ეფექტურობა.

ნაშრომი სტარტაპების გამოწვევებისა და პრობლემების კვლევას წარმოადგენს და ემყარება, ისეთ ანალიტიკურ მეთოდს, რომელიც მსოფლო მასშტაბით არის აპრობირებული. კვლევის ფარგლებში, რეკომენდაციები შემუშავდა

სტარტაპერებისა და სახელმწიფო პროგრამებისათვის, რა საშუალებას იძლევა ეფექტურად მოხდეს რესურსების განაწილება და განვითერდდეს სტარტაპ ეკოსიტემა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სტარტაპი, სტარტაპერი, მეწარმე, სტარტაპ-ეკოსისტემა, ლინ სტარტაპი, დაფინანსება, სახელმწიფო პროგრამები

მადლობა

მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტს, ლარისა პატარაიას, რომელმაც გაგვიწია უდიდესი დახმარება ნაშრომის სტრუქტურის გამართვას, კვლევის დიზაინის ფორმულირებასა და ჩატარებაში.

მადლობას ვუხდით, ჩვენს რესპოდენტებს, რომელთა დახმარებითაც, რელევანტური შედეგები მივიღეთ.